პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
8
აგვისტო
№ 185
(16311)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა
ქართული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურელების წვლილი

ჭიათურა. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც უპირველეს ადგილებზე გაიმარჯვეს XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, ახალი წარმატება მოიპოვეს. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის 7 თვის დავალება 24 ივლისისათვის შესრულეს. შვიდი თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2.450 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია 2.500 ათასი მანეთის ნაწარმი. ეს მაჩვენებლები იმაზე მიუთითებს, რომ ჭიათურის მუშათა კლასი გადაჭარბებით გაანღდებს ნაკისრ ვალდებულებას.

ამ საერთო წარმატებაში თავი ისახელეს მარგანეცის ტრესტის ლენინის, დიმიტროვის, სტალინის სახელობის და ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოების კოლექტივებმა, აგვილობრივი მრეწველობის და პუროკომბინატის მშრომელებმა.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.

მათ თავი ისახელეს

ვიმპელები გადაეცათ

ჩაის კრეფაში

ხობი. (საკ. კორ.). უკანასკნელი ხუთდღიურის შეჯამებას შედეგად განსაკუთრებით დაწინაურდა ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. კემულარია). სახელოვანმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 58 ტონა ნედლეული, რაც კოლმეურნეობის მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულების 6,2 პროცენტს შეადგენს. მოკრეფილის ბირველმა ხარისხმა 77 პროცენტი შეადგინა.

ახალხიბულელებმა ჩაის კრეფის წლიური გეგმაც შესრულეს. ისინი სამშობლოს მაღე უპატაკებენ ვალდებულების შესრულებასაც.

რაიონული ეიურის გადაწყვეტილებით „კომუნისტის“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი ვიმპელი ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას გადაეცა.

ვიდრე რთველი დაიწყება

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა ითვალისწინებს 400 ათასი ტონა ყურძნის დამზადებას, ვალდებულებით კი 425 ათასი ტონისას. ეს დიდი, პასუხსაგები და ამასთანავე საპატიო ამოცანაა — ჩაბარდეს ამდენი ყურძენი. ამ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა მთელი ჩვენი ძალების, შესაძლებლობების, რეზერვების ზღვრული მობილიზაცია.

ეს საქართველოს მევენახეთა სახელისა და ღირსების საქმეა.

ნელევანდელმა უჩვეულო ამინდებმა ხოფლის მშრომელებს უამრავი საზრუნავი გაუჩინა. ხანგრძლივმა გვალვებმა და თაკარა მზემ შეაფერხა მცენარეთა ზრდა-განვითარება. განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა მევენახეები.

რთველის დაწყებამდე არც ისე დიდი დროღაა დარჩენილი. ახლა, სწორედ ახლა სჭირდება გონიერი კაცის ხელი ზვრებს — სოფლის მარჩენალს. რაიონების პარტიული, სამეურნეო და კომკავშირული ორგანოები, სპეციალისტები, ყოველი კომუნისტი მოვალენი არიან ვაზზე შვილივით იზრუნონ, ყველაფერი გააკეთონ ამისათვის, რომ ბუნების ჭირვეულობა დაძლიონ.

გურჯაანის რაიონის გვალვასთან მებრძოლი შტაბი, რომელსაც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. ეცადაშვილი ხელმძღვანელობს, სარწყავი წყლის გონივრულად გამოყენებისათვის ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებს. იქ, სადაც თვითდინებით ვენახებს ვერ რწყავენ, მოაწყეს სატუმბავი სადგურები, გარდა ამისა, ვენახებში წყალი მიაქვთ მატარებლების ცისტერნებით, ავტოცისტერნებით. სამაგალითოა თბილისელ რკინიგზელთა და ავტოტრანსპორტელთა გარჯა. მათ მხარში უდგანან ზესტაფონელი, ბორჯომელი და სხვა რაიონების ავტომძღოლები. ამ საშუალებებით ათასობით ჰექტარ ვენახში მაცოცხლებელი წყალი მიიყვანეს და სართველოდ გამზადებულო უხვ მოსავალს ინარჩუნებენ. გურჯაანელებმა გადაწყვიტეს 70.000 ტონის ნაცვლად, რაც მათი გეგმით არის ვალდებულებული, სახელმწიფოს მიყიდონ 80.000 ტონაზე მეტი ყურძენი და ამით საპატიო წვლილი შეიტანონ საქართველოში 425.000 ტონა ყურძნის დამზადების საქმეში. გურჯაანელთა სანაქებო საქმეები მიბაძვის ღირსია.

უჩვეულო ამინდებმა, მცხუნვარე მზემ წლეულს ყურძენს ფერი ნაადრევად უცვალა და მოსალოდნელია, რომ რთველი წინა წლებთან შედარებით გაცილებით ადრე დაიწყოს. ეს კი დიდი და ოპერატიულად გადასაწყვეტი ამოცანების წინაშე აყენებს მევენახეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, ღვინის მრეწველობის მუშაკებს, სპეციალისტებს, სოფლის თვითეულ კომუნისტსა და მევენახეს.

ვიდრე რთველი დაიწყებოდეს, როგორც მევენახეებს, ისე ყურძნის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებს, მეტად პასუხსაგები საქმეები აქვთ გასაკეთებელი. დაყოვნება საზიანოა და მას არავინ გვაპატიებს.

საქართველოში 425.000 ტონა ყურძნის დამზადების ანგარიშში ახლანდელ ზვრების წილად ნახევარზე გაცილებით მეტი მოდის.

გურჯაანელმა, სიღნაღელმა და წითელწყაროელმა მევენახეებმა შარშან გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმები. წლეულსაც ჩინებულად მოვლილი ვენახები აქვთ და უნდა მოველოდეთ, რომ თუ რთველს ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დაამთავრებენ, გეგმებს გადაჭარბებით გაანაღდებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გურჯაანელებმა წლეულს სახელმწიფოს 80.000 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ, თელაველებმა — 44.000 ტონა, ყვარლელებმა — 29.000 ტონა, სიღნაღელებმა — 24.485 ტონა.

ბევრგან მევენახეები კარგად იმზადებიან რთველისათვის. ვენახებს რწყავენ, ამზადებენ ტარა-ჭურჭელს, საკრეფ მოწყობილობას, ავტოტრანსპორტს, რომ ვენახებიდან ყურძენი სახელმწიფო მარნებში შეუფერხებლად მიიტანონ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აკომპლექტებენ მკრეფავთა ბრიგადებსა და რგოლებს.

დიდი მოვალეობა აკისრიათ იმერეთის რაიონების მევენახეებს. ამ რაიონების მევენახეებმა წლეულს დიდძალი ყურძენი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს. ზეხტაფონელებს წილად 26.850 ტონა ყურძენი მოდის. მაიაკოვსკელებს წილად — 14.300 ტონა, თერჯოლელებისა — 18.100 ტონა, ვანელებისა — 14.000 ტონაზე მეტი. უკანასკნელ წლებში ამ რაიონების ვენახებში არახელსაყრელი ამინდების გამო ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმებს ვერ ანაღდებს, ამასთან არადამაკმაყოფილებელი იყო საკარმიდამო ვენახებიდან ყურძნის დამზადების გეგმების შესრულების მდგომარეობა. მიუხედავად ყურძნის შესყიდვის ფასების გადიდებისა, საკარმიდამო ვენახების ზოგიერთი მფლობელი, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი მუშაკის პასიურობის გამო, აქტიურად არ მონაწილეობს ყურძნის დამზადების საქმეში და ამჯობინებს ხელი მიჰყოს ღვინის ფალსიფიკაციას და სპეკულაციურ ფასებში ვაყიდვას, რესპუბლიკის ინტერესები, საერთო სახალხო საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ წლეულს არაეითარ შემთხვევაში არ გამორიეს წინანდელი შეცდომები, საქმე ისე უნდა წარმართოთ, რომ ყველა მევენახე მონაწილეობდეს საქართველოში 425.000 ტონა ყურძნის დამზადებაში, ყველა უნდა ცდილობდეს ამ საქმეში საპატიო წვლილი შეიტანოს.

წინა წლებში „სამტრესტის“ ყურძნის პირველადი გადამუშავების ქარხნებში მხოლოდ რთველის დაწყების დროისათვის ჩქარობდნენ, რომ ყურძნის მიღება და გადამუშავება არ შეფერხებულიყო, მაგრამ საერთო საქმისადმი ახეთი ფორმალური დამოკიდებულების შედეგად ქარხნებში რიგები ეწყობოდა, იკარგებოდა დიდძალი ღვინომასალა. ამ ბოლო დროს მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა, ყურძნის მიღებისა და გადამუშავების საქმეში ერთგვარი წესრიგია, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე რომდა.

ამ მიზნით, რომ ყურძნის მიღება არ შეფერხდეს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო „სამტრესტთან“ და შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად 15 აგვისტოდან აწყობს პირველადი გადამუშავების ქარხნების დათვალიერებას. გარდა ამისა, „სამტრესტს“ რთველის პერიოდში გურჯაანსა და ზესტაფონში ეკნება ყურძნის ორგანიზებულად მიღება-გადამუშავების ხელმძღვანელობის შტაბები. ყველა ქარხანაში შეიქმნა სოციალისტური საკუთრების დაცვის კომისია. ეს კარგი ღონისძიებებია, და ვფიქრობთ მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები ქმედით დახმარებას აღმოუჩენენ კომისიას, შტაბებს.

მუკუზნის ღვინის ქარხნის თაოსნობას — ყოველი კილოგრამი ყურძნიდან ტექნოლოგიური წესების დაცვით გადამუშავების შედეგად მივიღოთ ნედლეულის მაქსიმუმი, აგრეთვე ნარჩენები სათანადოდ იქნას გამოყენებული — რესპუბლიკის ყველა ღვინის ქარხანამ უნდა დაუჭიროს მხარი.

საქართველოს მევენახეებო, ღვინის მრეწველობის მუშაკებო! გავუფრთხილდეთ ქართული ღვინის სახელსა და ღირსებას, რთველი ჩავატაროთ ორგანიზებულად, მოკლე დროში, უდანაკარგოდ. ყურძენი გადამუშაოთ უნაკლოდ, მშრომელთა სუფრას მივაწოდოთ მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო და ყურძნის სხვა ნაწარმი, საამაყო მაჩვენებლებით შევეგებოთ ჩვენი პარტიის XXV ყრილობას!

ხუთწლედი — ვადამდე!

შეჯიბრების მოწინავენი

მეცემენტეთა მტკიცე სიტყვა

ადალი ნაწარმოო მაჩვენებლებით შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას! ამ დევიზით შრომობს კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი და წარმატებით ახორციელებს მას. ქართველმა მეცემენტეებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. მათ გადაწყვიტეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 180 ათასი მანეთის პროდუქცია, შარშანდელთან შედარებით ექვსი პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. სურათზე: საფქვავი საამქროს მოწინავე მუშაკები (მარცხნიდან მარჯვნივ): ზეინკალი ბ. გუბელაძე, ცემენტის წისქვილის მემანქანე ე. კუდუხოვა, ზეინკალი გ. ბერიოზოვი, ცემენტის წისქვილის მემანქანე ვ. ბერიანიძე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია

ონი. (საკ. კორ.). სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ხ. გოგეკაშვილი) პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების დღეებში დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა — 15 ივლისს, ვადაზე ხუთნახევარი თვით ადრე სამშობლოს უპატაჟა ხუთწლედის დავალების შესრულება.

ხუთწლედის მანძილზე ფაბრიკაში არა ერთი სიახლე დანერგა. მათ შორის აღსანიშნავია მზა ნაწარმის უდეფექტო დამზადებისა და მისი პირველი წარდგენისთანავე ჩაბარება. ამ მეთოდით მუშაობამ მარტო გასულ წელს საწარმოს 5.800 მანეთის მოგება მისცა. გარდა ამისა შემცირდა რეკლამაციები, მთლიანად ლიკვიდირებულია წუნი. ფაბრიკის ცხოვრებაში არა ნაკლები მნიშვნელოვანი იყო გორკის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის მაგალითისამებრ ოსტატისა და ცვლის უფროსის სამუშაო დღის გრაფიკის დანერგვა. ამ სიახლემ უფრო მაღალნაყოფიერი და რაციონალური გახადა ოსტატის შრომა, აამაღლა შეკერილი ტანსაცმლის ხარისხი.

ახლახან მკერავებმა თბილისელ მეკობეთა მაგალითისამებრ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და პარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

სახელმწიფოს მიჰყიდეს

ხორცი, რძე, ხილი, აბრეშუმის პარკი

საჩხერის რაიონის მშრომელებმა 15 ივლისისათვის წარმატებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, აბრეშუმის პარკის, ხილის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება. დამზადდა 3.626 ტონა ხორცი ნაცვლად 3.358 ტონისა, 6.696 ტონა რძე ნაცვლად 6.606 ტონისა, 97 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად 84,5 ტონისა, 12.655 ტონა ხილი ნაცვლად 11.911 ტონისა.

საჩხერელებმა გადაწყვიტეს მეცხრე ხუთწლედის ბოლომდე სახელმწიფოს მიჰყიდონ 294 ტონა ხორცი, 446 ტონა რძე, 2.400 ტონა ხილი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ღლონტმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. სუმბაძემ.

თელავის რაიონმა ნაცვლად 80 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 90,6 ტონა პარკი, გეგმა შესრულდა 113,3 პროცენტით, ვალდებულება — 100,7 პროცენტით. გადაჭარბებით არის შესრულებული მეცხრე ხუთწლიანი გეგმა. 357 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 407,6 ტონა აბრეშუმის პარკი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ტ. ჩაბაღარმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. იანგარაშვილმა.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება გაანაღდეს. ნაცვლად 1.982 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 2.395 ტონა ხორცი, 12.950 ტონა ხილი ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 9.139 ტონისა.

ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულებით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 759 ათასი ცალი კვერცხი. ფაქტიურად მიყიდულია 1.615.000 ცალი. გათვალისწინებულია წლის ბოლომდე სახელმწიფოს მიეყიდოს 2.400 ტონაზე მეტი ხილი, 189 ათასი ცალი კვერცხი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ეგმდაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ხ. ბინცაძემ.

სოფლის დაკვეთებს — ყურადღება

მანქანებით, სათადარიგო ნაწილებით, სასუქით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგების აქტუალური საკითხები განიხილეს სოფლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სრულიად საკავშირო ოპერატიული შტაბის სხდომაზე, რომელიც 5 აგვისტოს გაიმართა.

დიდი ყურადღება დაეთმო ციმბირისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის სოფლის მშრომელთა დაკვეთების სწრაფ შესრულებას, სადაც ვრცელ მასივებზე ჩაღდება პურეულის მკა.

შტაბის სხდომაზე დაწვრილებით განიხილეს კარტოფილის ასაღები, ჭარხლის ასაღები და სხვა მანქანების გამოშვების, აგრეთვე არსებული ტექნიკის რემონტის, მეურნეობებისათვის დეფიციტური დეტალების, კვანძების და აგრეგატების მიწოდების საკითხები.

ბევრი ქარხნის კოლექტივები, აღინიშნა სხდომაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დროულად აწვდიან დაკვეთილ ტექნიკასა და სხვა ტვირთს, მთელი რიგი საწარმოები უსწრებენ ერაფიკს. მაგრამ ცალკეული ქარხნები აყოვნებენ მანქანების მიწოდებას. მაგალითად, ტაგანროგის კომბაინის ქარხანა აჭიანურებს მეურნეობებისათვის ბრინჯის ასაღები ახალი კომბაინების გაგზავნას. პავლოდარის ტრაქტორის ქარხანამ მოლიანად ვერ შეასრულა ტრაქტორის მისაბმელების გაგზავნის გეგმა.

საკვებს გაცხარებული დამზადების ეპოქიდან ზოგიერთი საწარმო დაეალებით გათვალისწინებულზე ნაკლებს უგზავნის მეურნეობებს ამკრეფ-საწნეხებს, სათიბელა-საჭუმბეებლებს, ტრაქტორის ფიცრებსა და თივის ასაღებ სხვა ტექნიკას.

შტაბის სხდომაზე გამოსულებმა სამრეწველო სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლებმა მოახსენეს შეკრებილთ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ. დასახულია ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე სოფლისათვის საჭირო სხვადასხვა მასალების გამოშვების დაჩქარების გზები. (საკდესის კორ.).

ჯამის საავტომობილო ქარხანას — ვადამდე

ხარკოვი, 7 აგვისტო. (საკდესის კორესპონდენტი ლ. პილიპენკო). დღეს კოსიორის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა ჯამის საავტომობილო ქარხნისათვის პროდუქციის მიწოდების წლიური პროგრამა. ნაბერეჟნეი ჩელნში გაგზავნილია 22 სახეხი ავტომატი, რომლებიც დაჩქარებით ამუშავებენ დიდტერთიანი მანქანების ძრავების დეტალებს.

ახალი ჩარხები ერთნახევარჯერ უფრო მწარმოებლური და გაიოლებით უფრო სარეფდოა, ვიდრე მათი წინამორბედნი. ისინი აღჭურვილია საგანგებო მოწყობილობით, რომელიც არეგულირებს დეტალების დამუშავების რეჟიმს. ამასთან ერთულესი ნაწარმის ხეხვის სიზუსტე რამდენიმე მიკრონამდეა დაცული.

ტაიგის ვიტამინები — ბამის მშენებლებს

ხაბაროვსკი, 7 აგვისტო. (საკდესის კორ. ი. პერეპელიცკი). ამურისპირა ტაიგაში დამწიფდა უსურვაზი. დღეს გადასხეს ტაიგის ვიტამინების დამამზადებელთა პირველი „დესანტი“.

წლევანდელ სეზონში უსვა დაამზადონ 1.500 ცენტნერი უსურვაზი. — შარშანდელზე ოთხჯერ მეტი. სპეციალური საამქროები მისგან დაამზადებენ ვიტამინიან წვენებს, მურაბას, ჯემს. ბევრ ტაბილ პროდუქციას მიიღებენ ბამის მშენებლები და მკვლევარები.

გვალვა უკან იხევს

ცხელა და ცხელა, პაპანებაა კახეთის რაიონებში. სიცხისაგან მიწა დახეულ, გამოიფიტა, არსებობა გაუჭირდა ვაზსა და ხეხილს, ბოსტნეულს, სიმინდის ნათესებს. გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად თბილისიდან და სხვა რაიონებიდან მოვიდნენ რკინიგზელები, ავტომძღოლები, ყველა, ვისაც კი გული შესტკივა სახალხო დოვლათისათვის. ამ სურათზე ხედავთ თუ თბილისელი მძღოლები ავტოცისტერნებით როგორ რწყავენ გურჯაანელთა ზვრებს.

ს. კილაძის ფოტო.

მ'ეცხოველეობას — მთელი გულისყური!

საკვები — ჰირუტყვს

საკვების დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1975 წლის 4 აგვისტოსათვის

(პროცენტობით)

	აქედან				
	სილოსური საკვები	თივა	სენაჟი	ფესვეული საკვები	ფქვილოვანი
ახალქალაქის	49	38	84	—	1
ბოგდანოვკის	31	3	103	—	17
ახალციხის	76	29	105	20	—
ადიგენის	119	4	111	9	2
ასპინძის	71	25	86	11	6
ხაშურის	104	73	145	38	
ქარელის	70	71	106	36	5
გორის	107	93	127	49	
კასპის	66	52	116	33	
ბორჯომის	30	9	52	5	
საბარეჯოს	97	60	82	84	
გურჯაანის	121	69	144	64	21
სიღნაღის	106	121	74	86	1
წითელწყაროს	99	94	89		18
თელავის	81	53	63	76	03
ახმეტის	86	38	69	85	
ყვარლის	95	30	58	88	
ლაგოდეხის	78	46	33	86	
ბარდავნის	119	96	85	83	
მცხეთის	106	88	111	36	
მარნეულის	103	42	145	90	5
გოლენისის	80	52	65	45	2
წალკის	31	10	75		
დუშეთის	46	24	100	35	
თეთრი წყაროს	64	45	83	28	
დმანისის	44	16	79	19	6
თიანეთის	81	51	135	13	
ყაზბეგის	11	11			
სამხრეთ ოსეთის					
ავტონომიური ოლქი	49	22	91	19	
წყალტუბოს	7	29	8	4	
სამტრედიის	29	28	91	6	
წულუკიძის	5	4	2	5	
ვანის	10	31	10	4	
მაიაკოვსკის	4	49		1	
ზესტაფონის	29	56	45	10	
თერჯოლის	35	50	124	17	
ჭიათურის საქალაქო საბჭო	37	148	60	8	2
საჩხერის	30	58	74	10	
ორჯონიკიძის	17	63	48		
ტყიბულის საქალაქო საბჭო	01	1			
ონის	22	26			6
ამბროლაურის	32	55	10	1	
ცაგერის	18	32	60		
ლენტეხის	9	10			
აბაშის	13	7	50		
ცხაკაიას	16		85		
გეგეჭკორის	3		25		
ზუგდიდის	14	19	38		
ხობის	1		4		
მახარაძის	2		20		
ლანჩხუთის	10	3	51		
აფხაზეთის ასსრ	+9	19	17		1
აბაშის ასსრ	16	16	17	10	1
ს ულ	55	28	82	32	3

საქართველოს სსრ მინისტრთა სტატისტიკური სამმართველო.

ხალხი გაანსილავს, მსჯელობს

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის საიმედო კომპასი იქნება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგების შეჯამებისა და პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების მთელ პერიოდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით“.

ალბერ თოთქმის ორი თვე გადის, რაც საბჭოთა ადამიანები გულისყურით ეცნობიან და სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე. სიტყვას, რომელმაც ხალხის ეშმარიტი გულისთქმა გამოხატა, ოგი ყველა მშრომელისათვის პარტიის დირიგებად, ბელითი და ეფექტიანი მუშაობის მოწოდებად გასმა.

ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის პროპაგანდასა და აღქმას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით“.

გავიხსენოთ დადგენილების ზოგიერთი სტრიქონი: „ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის, მშრომელის საიმედო კომპასი იქნება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგების შეჯამებისა და პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების მთელ პერიოდში“, და ეს, ეშმარიტად, ასეა.

სარედაქციო ფოსტას კვლავ მოაქვს მკითხველთა ასობით წერილი, რომლებშიც ჩაქსოვილია მისი ავტორების — მეცნიერების, მრეწველობის დარგის მუშაკების, მეშახტეების, მეჩაიეების, მეცეტრუსეების, მეგენახეების, მეცხვალეებების, მშენებლების, ტრანსპორტელების, პედაგოგებისა და სხვა პროფესიების ადამიანთა ფიქრები და აზრები.

როგორც წერილებს ავტორები იტყობინებიან, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეადგინეს გეგმები, რომლებშიც გითვალისწინეს აღნიშნული სიტყვის საფუძვლიანი განმარტების კონკრეტული ღონისძიებები. დღეს ლექტორ-მომხსენებლები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები ეწევიან საქმიან სალაპარაკოს შრომითს კოლექტივებში, ცალკეულ უბნებზე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის საგარეოპოლიტიკურ და საშინაო-ეკონომიურ მნიშვნელობაზე, საბჭოთა სახელმწიფოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანებზე, მათი გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე.

მაგალითად, თბილისის გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პლასტმასის ქარხნის კლუბში მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე „მშრომელთა იდეური რწმენის, პოლიტიკური შეგნების ამაღლება ჩვენი წინსვლის გადამწყვეტი წინაპირობაა“. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები.

აი კითხულობთ ამ წერილებს, რომელთაც წითელ ზოლად გასდევს სიმაყეე და სიხარული, რომ ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის მედროშე და წინამძღოლია.

ახლა, როცა მთელ საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXV ყრილობის შესახებ, ბევრმა შრომითმა კოლექტივმა, ცალკეულმა მშრომელებმა საპროგრამოდ მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შემდეგი სიტყვები: „ახლა შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველა არა უბრალოდ მეტის გაკეთებაა, არამედ უკეთესისა და უფრო ეკონომიურის გაკეთებაც“. მათ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი მეცხრე ხუთწლედის გადამდე შესრულებისათვის და გადაწყვეტეს გეგმის გადამეტებით ამარმონ ეთიეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია, ათასლონ ხარისხი და ზარდონ წარმოების ეფექტიანობა.

აი სტრიქონები ზოგიერთი წერილიდან:

— ბრეჟნევის სიტყვამ, მისმა დებულებებმა და დასკვნებმა თვითეული შრომითი კოლექტივი, პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტის წინაშე დააყენა პოლიტიკური, ორგანიზაციულ-ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის ახალი ამოცანები, — გვწერს ზობის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ პარტიული კომიტეტის მდივანი შ. ძაბაღუა, — მთელი ძალით ავამოქმედეთ პოლიტიკური მუშაობის არსენალი, მოგაწოდეთ თათბირ-სემინარები, თეორიული კონფერენციები, ამის შედეგია, რომ ახლა, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები თავიანთ ყოველ საუბარს უკეთ უკავშირებენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. მთავარი ყურადღება მივაქციეთ ხარისხს, მთელი ძალები იქთაკენ წარვმართეთ, რომ შემხვედრი გეგმები, ნაკისრი ვალდებულებანი შეგასრულოთ 25 დეკემბრისათვის, ნაცვლად დაგეგმილი ზარალისა საშრომლოს მივიცეთ 40.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

— ცისფერ ეკრანთან მოვისმინე თუ არა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, — გვწერს ცხაკაიის რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. ნოდია, — დაუყოვნებლივ გავუგზავნე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს სამადლობელი დეპეშა. დიახ, მადლობა მოვახსენე მშრომელი ადამიანის ასეთი დაფასებისათვის. ვაცნობე, რომ პირადი ხუთწლედი ორი წლის წინათ შეავასრულე, ხოლო წელს ნავარაუდევი 6 ტონის ნაცვლად მოვკრიფე 15 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

— დიდი შრომითი სამეგობროთვის განგვაწყო წინასაარჩევნო სიტყვამ. ადამიანებმა კარგად გაიგეს პარტიის ჩანაფიქრი. ვამაყობთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა ლენინური იდეების შემოქმედებითად განვითარების შესანიშნავი მაგალითია, — გვიზიარებს თავის აზრს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაბეის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. შენგელია.

— ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ულრუბლო ცის ქვეშ, ქვეყანაში, სადაც ყველაფერი კეთდება მშრომელი ადამიანის საკეთილდღეოდ. მე, როგორც პოლიტინფორმატორი, დიდი ხანია ვიმსჯელებ ბრეჟნევის ანგარიშზე. ეს ანგარიში ნამდვილი ეროვნული ფასეულობაა ჩვენ ხალხთან ერთად ამ დიდ პოლიტიკურ დოკუმენტზე, — ამბობს სიტყვიერი ფიქრებით ბაზალეთელი ლ. ბ. ბერეკაშვილი.

— ბრეჟნევის სიტყვა ჩვენ ყველანი ერთ სულ-ხორცად ვიგულისხმეთ, ეს ჩვენ ერთ-ერთ ფასეულ ანგარიშად ავიღეთ, — ამბობენ ბორჯომელ ბ. ბ. ბერეკაშვილი, ბ. ბ. ბერეკაშვილი, ბ. ბ. ბერეკაშვილი,

ევროპა მაგალითს იძლევა

საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მაღალი შეფასება

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრებამ საზღვარგარეთ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები საკლასის კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში მაღალ შეფასებას აძლევენ თათბირის შედეგებს, წვლილს, რომელიც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებაში შეიტანეს საბჭოთა კავშირმა და პირადად სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ვ. მორსი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებსა და გენერალური ასამბლეის საქმეებში:

ჰელსინკში დამთავრებული სრულიად ევროპის თათბირი დიპლომატიის ისტორიის თვალსაჩინო მოვლენაა, რომელსაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება მრავალი წლის მანძილზე, ეს ფორუმი, უთუოდ, უპრეცედენტო იყო თავისი მნიშვნელობით, იგი დიდ როლს შეასრულებს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებაში.

ვ. პარსონსი — პროფესორი, საზოგადო მოღვაწე (ამერიკის შეერთებული შტატები):

ჰელსინკის უმაღლესი დონის თათბირი მშვიდობისათვის, ომის შემდგომი პერიოდის რეალობათა აღიარებისათვის ევროპის პროგრესული ძალების 30 წლის ბრძოლის შედეგია. თათბირის შედეგები შეესაბამებიან მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებებს, რომლებიც დაეინებით მოითხოვენ დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პოლიტიკის განხორციელებას. ეს არის საყოველთაო მშვიდობის, მტკიცე საერთაშორისო ურთიერთობის გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯი.

ჯ. ხმიდი — „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის“ ორგანიზაციის გენერალური მდივანი (ინგლისი):

სრულიად ევროპის თათბირმა კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა არა მარტო საჭიროა, არამედ შესაძლებელიცაა. და ამან არ შეიძლება არ შთააგონოს ყველა ის, ვინც ღღვწის განიარაღებისათვის, საზოგადოებას ცხოვრებიდან ომის მთლიანად აღმოფხვრისათვის.

ტ. ბრაკი — იაპონიის ქალაქ ჰიროსიმის მერი:

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი ისტორიაში შევა როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

რ. რაო — ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი:

სრულიად ევროპის თათბირის წარმატება, რომელსაც დიდი ყურადღებითა და გულწრფელი ინტერესით ადევნებდა თვალს პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა, უთუოდ ახალ სტიმულს მისცემს ახალი ტიპის ურთიერთობების იდეების მომხრეებს.

ვ. ბრანდტი: დაძაბულობის შენელება ყველას სჭირდება

ნიუ-იორკი, (საკლესი), გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ბრანდტმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ როდინ დიდი მნიშვნელობა აქვს დაძაბულობის შენელების პროცესს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში.

ამერიკის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაციისა და გაფართოების პოლიტიკამ დიდი როლი შეასრულა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

„საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, — აღნიშნა ვ. ბრანდტმა, — ჩვენ ეს მტკიცედ გვწამს — არ სურს ომი და მხარს უჭერს დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის, გაცვლისა და სხვა ურთიერთობის ყოველნაირ განვითარებას“. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი მიესალმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას, რომელიც შეესაბამება ორივე ქვეყნის მისწრაფებას ყველაფერი იღონონ, რათა თავიდან აიცილონ ატომური კონფლიქტი.

ვ. ბრანდტმა გააკრიტიკა დასავლეთის ის ხელმძღვანელება, რომლებიც აცხადებენ, რომ „ეძიდი გაუცოცხა დაძაბულობამ“. ამ ადამიანებს, თქვა მან, არ ესმით დაძაბულობის შენელების ნამდვილი მნიშვნელობა. მათ წარმოდგენაში დაძაბულობის შენელება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ აქ დასავლეთში კიბეში ვუყაროთ, თუ როგორი მთავრობები უნდა იყოს აღმოსავლეთში. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ჩვენ ვერ შევცვლით მათ წყობილებას, ისინი კი ჩვენსას.

დაძაბულობის შენელების პროცესის ფილოსოფია, თქვა ვ. ბრანდტმა, ის არის, თუ რანაირად მივაღწიეთ დიდ თანამშრომლობას ან ისეთი მექანიზმის შემუშავებას მაინც, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ომი ორ მოწინააღმდეგე სოციალურ-ეკონომიურ სისტემას შორის.

ევროპული დღეს

ახალი ჰორიზონტები

პოზიტიური გამოხმაურება ყველა კონტინენტიდან მოწმობს ლრმა კმაყოფილებას, რომლითაც მსოფლიოს ხალხთა ფართო ფენებმა შეხვდნენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებს. კომენტატორები დიდ ყურადღებას უთმობენ დაძაბულობის შენელების შემდგომი გაღრმავების აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჰელსინკში წარმოთქმულ სიტყვაში.

ჰელსინკი. ფინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. სინისალომ ფინეთის „ტერდონანტაისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: სრულიად ევროპის თათბირის შედეგები ხუსტად ადასტურებენ დასკვნებს, რომლებიც გამოიტანეს საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ და განსაკუთრებით სკკ XXIV ყრილობამ. სკკ XXV ყრილობის წინ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წარმატებით სრულდება XXIV ყრილობის მიერ დამტკიცებული მშვიდობის პროგრამა, და გულდაჯერებით ვფიქვილ, რომ ახალი ყრილობის მომზადება პრაქტიკულად უკვეშორდება კიდევ ერთ დიდ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცებას.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სგზგრეთ საქმეთა მინისტრმა ბ. ჰნოუპეკმა ეურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ჰელსინკი გახდა სინონიმი დამთავრებული ტენდენციებისა ევროპის ვითარების განმტკიცებაში, დიდნიშვნელოვანი ნაბიჯისკენ ევროპის ხალხთა ცხოვრებაში.

ულან-ბატორი. სრულიად ევროპის თათბირის წარმატებით დამთავრება ხაზს უსვამს მოწინავე სტატიაში გაზეთი „უნენი“, სიხავს სრულიად ახალ ფურცელს საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და პირადად სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელსაც

ბელგრადი. ფინეთის, ავსტრიისა და ბელგიის ელჩებმა ბელგრადში ჩაატარეს ერთობლივი ბანკეტი, ეს ბანკეტი ეძღვნებოდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასასრულს. ელჩებმა ხაზგასმით აღნიშნეს, ეს ფორუმი, უთუოდ, უპრეცედენტო იყო თავისი მნიშვნელობით, იგი დიდ როლს შეასრულებს ევროპის ხალხთა ურთიერთობებში.

ბუქარესტი. რუმინული ხალხი კმაყოფილებით მიესალმება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობის დადებითი შედეგებს, ნათქვამია გაზეთ „სკინტეიას“ სარედაქციო სტატიაში.

ბონი. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის ხელმოწერა დიდმნიშვნელოვანი წაბიჯია დაძაბულობის შენელების გზაზე, განაცხადა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის თავმჯდომარემ ჰ. მიშნიკმა. დაძაბულობის შენელება უნდა გახდეს ევროპის ყოველდღიურობა, ხაზი გაუსვა მან.

რომი. მშვიდობა, უშიშროება და თანამშრომლობა, წერს გაზეთი „ჯორნო“, ახლა მარტო იმედი როდია, ეს ცნებები გახდა მოგალეობა, ვალდებულება, რომელიც დაამტკიცეს და მიიღეს 35 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

ბერლინი. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციამ მიესალმება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის ხელმოწერას, ნათქვამია ბერლინში გავრცელებულ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის განცხადებაში.

ბუქარესტი. რუმინელი ხალხი კმაყოფილებით მიესალმება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობის დადებით შედეგებს, ნათქვამია გაზეთ „სკინტეიას“ სარედაქციო სტატიაში.

ბონი. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის ხელმოწერა დიდმნიშვნელოვანი წაბიჯია დაძაბულობის შენელების გზაზე, განაცხადა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის თავმჯდომარემ ჰ. მიშნიკმა. დაძაბულობის შენელება უნდა გახდეს ევროპის ყოველდღიურობა, ხაზი გაუსვა მან.

რომი. მშვიდობა, უშიშროება და თანამშრომლობა, წერს გაზეთი „ჯორნო“, ახლა მარტო იმედი როდია, ეს ცნებები გახდა მოგალეობა, ვალდებულება, რომელიც დაამტკიცეს და მიიღეს 35 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

ბერლინი. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციამ მიესალმება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის ხელმოწერას, ნათქვამია ბერლინში გავრცელებულ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის განცხადებაში.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ განიხილა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ოფიციალური მიმართვები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მათი მიღების შესახებ. (იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტოს ახალ წევრთა მიღების საკითხი, საჭიროა უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციები).

უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მიღების საკითხთა შეტანას ხმა მისცა საბჭოს ყველა წევრმა, გარდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელისა, რომელმაც კენჭისყრის დროს თავი შეიკავა.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობათა მიმართვები გადასცეს ახალ წევრთა მიმღებ კომიტეტს, რომელიც თავის რეკომენდაციებს წარუდგენს უშიშროების საბჭოს.

7 აგვისტო

ქრონიკა ისტორიული ფაქტები



საალეკი და უსახოეთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

- ჰელსინკის თათბირი კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია
- ნეოფაშისტთა თარეში პორტუგალიის ქალაქებში
- ანგოლა — ვიეტნამი ისევ დაძაბულია
- ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის დროებითი რევოლუციური მთავრობის მთავრობის საბჭოს

საფრანგეთი ეთხოვება ბენუა ფრაშონს

პარიზი, (საკლესი). სამგლოვიაროდაა მოთრთვა პარიზის მელეთონეთა სახლი. აქ დგას კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის, შრომის საყოველთაო თავმჯდომარის ბენუა ფრაშონის კუბო. უწყვეტ ნაკადად მოედინებიან მშრომელები, რომლებიც მოვიდნენ საფრანგეთის მუშათა კლასის ერთგული შვილის, ხსოვნის პატივსაცემად.

სპატიო ყარაულში დგანან საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრები, ქვეყნის პროფკავშირული გაერთიანებებისა და მემარცხენე პარტიების ხელმძღვანელები, კომუნისტური მოძრაობის ევროპული ბიუროს ქვეყნებიდან ჩამოსული პროფკავშირული დელეგაციები. წითელ ლრუბლით დაფარულ კუბოსთან ალაგებენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის, მბრძოლველ-ცხოვანი საფრანგეთში სოციალისტურ ქვეყნების საელჩოების გვირგვინებს. სამგლოვიარო წიგნში ათასობით ჩანაწერი შეიქმნა. მათში გამოხატულია პატივისცემა და მადლიერება ამ ადამიანისადმი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა შრომელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას.

სამგლოვიარო ცერემონიებში მონაწილეობისათვის პარიზში ჩამოვიდა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია სპკავშირო პროფსაბჭოს მდივნის პ. ტ. პიმენოვის მეთაურობით.

ბენუა ფრაშონს დაკრძალავენ კომუნართა კედელთან პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

ეევამციროთ სამხედრო ხარჯები

ლონდონი, (საკლესი). ინგლისმი უნდა გაითვალისწინოს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობის დადებითი შედეგები და შეამციროს შეიარაღების ხარჯები — ასეთი მოწოდებით მიმართა მთავრობას მმართველი ლეიბორისტული პარტიის წევრთა ჯგუფმა. ჰელსინკის თათბირზე შექმნილი კეთილსაყოფელი ატმოსფერო და იქ ხელმოწერილი დოკუმენტები ნიშნავენ, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამშრომლობა, იგრეთვე განიარაღება შეიძლება რეალობა გახდეს, ხაზგასმულია მოწოდებაში.

ამერიკა-იაპონიის მოღაპარაკება

ვაშინგტონი, (საკლესი). აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის ტ. მიკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონის ხელმძღვანელებმა განიხილეს იაპონია-ამერიკის ურთიერთობა, სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემა და ეკონომიური საკითხები.

მათ იმსჯელეს აზიის მდგომარეობაზე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამერიკა-იაპონიის ეკრეთ წოდებული თანამშრომლობისა და უშიშროების ხელშეკრულება „აზიაში ძირითადი საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურის განუყოფელი ელემენტია“. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაადასტურა თავისი ვალდებულება ამ ხელშეკრულებაში.

საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს, ნათქვამია კომუნიკეში, პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ეცდება დაამთავროს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე ახალი შეთანხმების დადების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვეს იმედი, რომ მიღწეული იქნება პროგრესი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

გამოქვეყნებულია იგრეთვე ჯ. ფორდისა და ტ. მიკის ერთობლივი განცხადება, რომელიც ამერიკა-იაპონიის ურთიერთობის საერთო პრინციპებს ეხება.

როგორც ამ დოკუმენტში ნათქვამი, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, „რომ იაპონია კვლავაც შეასრულებს თანამშრომლობისა და უშიშროების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საარბრიუკენი — თბილისი

ძართული ხელოვნების ისტორიაში 1973 წლის 14 იანვარი დიდსასახელოვარ თარიღად ჩაიწერა, პირველად „დასავლეთ ევროპაში“ — როგორც იქაური აფიშა იუწყებოდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის „დასი“. 1974 წლის გაზაფხულზე კი საარის მხარეში ქართული ხელოვნების დღეები ჩატარდა. გერმანულ-ქართული კულტურების თანამშრომლობისა და შემდგომი შემოქმედებითი დაახლოების ახალი პერსპექტივების მიზნით ამას წინათ თბილისში იმყოფებოდა ქ. საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრის დელეგაცია, თეატრის გენერალური დირექტორის რეჟისორ ჰერმან ვედეკინდის მეთაურობით და ამავე თეატრის რეჟისორის ვერნერ ვაქსმუტის, ქალაქ კონსტანცის თეატრის მხატვრის დომი პაანის და ჰერმან ვედეკინდის ვაჟის — ქალაქ ლიუბეკის სახელმწიფო თეატრის რეჟისორის, დრამატურგ მიქაელ ვედეკინდის შემადგენლობით.

დელეგაციის სტუმრობა დაკავშირებული იყო საარის მხარის კულტურის კვირეულის ჩატარებასთან საბჭოთა კავშირში (თბილისში კვირეული მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება).

კვირეულის პროგრამა ბევრ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს, მაგრამ საარის მხარის წარმომადგენელთა ჩამოსვლა ორ კონკრეტულ მიზნის ისახავდა. პირადად ჰერმან ვედეკინდმა (როგორც დამდგმელმა რეჟისორმა) კვირეულის პროგრამის შესაბამისად უკვე 1975 წლის ბოლოს უნდა გამოუშვას პრემიერა მოცარტის „ოპერისა „ჯადოსნური ფლეიტა“ (ლიბრეტო ქართულ ენაზე თარგმნა ნელი ამაშუკელმა). ამ ოპერაზე მუშაობა უკვე დაწყებულია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. ჰერმან ვედეკინდმა და მისმა თანამზრახველებმა ჯელოგებმა მოისმინეს ოპერის გუნდები, არიები და ანსამბლები. ფრაგმენტების ჩვენებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ამირანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. მკერვალაძე, სოლისტები ნ. ნადიბაიძე, მ. ადამაძე, გ. ნადირაძე, ა. კანკია, თ. გუგულაშვილი და სხვ.

სპექტაკლზე მუშაობენ დირიჟორი ბ. გოცირიძე, ქორმაისტერები გ. ბუხრიკიძე, ა. დანელიანი, კონცერტმაისტერები გ. მეშველიანი და მ. არტაზოვა.

ჰერმან ვედეკინდმა კონსულტაცია გაუწია სპექტაკლში მონაწილეებს და ანსამბლებს. ეხებოდა ამ ოპერის ლეგენდარული ფინალი, „ბოროტ ფლეიტა“. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაადასტურა თავისი ვალდებულება ამ ხელშეკრულებაში.

საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს, ნათქვამია კომუნიკეში, პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ეცდება დაამთავროს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე ახალი შეთანხმების დადების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვეს იმედი, რომ მიღწეული იქნება პროგრესი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

გამოქვეყნებულია იგრეთვე ჯ. ფორდისა და ტ. მიკის ერთობლივი განცხადება, რომელიც ამერიკა-იაპონიის ურთიერთობის საერთო პრინციპებს ეხება.

როგორც ამ დოკუმენტში ნათქვამი, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, „რომ იაპონია კვლავაც შეასრულებს თანამშრომლობისა და უშიშროების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

... ტელეტაიპის ლენტიდან...

ბოგოტა. აქ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში გაიხსნა ფოტოგამოფენა „სსრ კავშირის გმირი ქალაქები“. ათობით ფერად ფოტოსურათზე ალბეჭდილია საბჭოთა ადამიანების გმირობა, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში იცავდნენ მოსკოვს, ლენინგრადს, სევასტოპოლსა და სხვა გმირ ქალაქებს. ეკსპოზიცია დამთვალიერებლებს აცნობს საბჭოთა გმირი ქალაქების თანამედროვე ცხოვრებას, მათს მიღწევებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. გამოფენა ეძღვნება ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავს.

ათენი. 21 ბერძენი ოფიცრის სასამართლო პროცესზე, რომლებსაც ბრალად ედებათ შეთქმულების მოწყობა, ამა წლის თებერვალში საბერძნეთის კანონიერი მთავრობის დამხობის მიზნით, პროკურორმა გენერალ-მაიორმა პაპადოპულმა მოითხოვა 20 ბრალდებულის პატიმრობა 5-დან 17 წლის ვადით. შეთქმულების მონაწილეებს განხრახული ჰქონდათ მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება, დიქტატორებინათ მთავრობის წევრები, გაეთავისუფლებინათ ყოფილი სამხედრო ხუნტის მეთაურები, კანონგარეშე გამოეცხადებინათ საბერძნეთის კომპარტია.

რაბატი. მაროკოს ბანკმა მიმოქცევაში გაუშვა ახალი ხამახსოვრო მონეტები. ერთ-ერთი მათგანი — სპილენძ-ნიკელის მონეტა, 50 დირჰამის ღირებულებისა, ეძღვნება ქალის საერთაშორისო წელს. მასზე გამოსახულია ქალის ხელი, მზე და დედამიწის ხფერო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასურსაფო და სახლოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის 30 წლისთავს ეძღვნება 5 დირჰამიანი სპილენძისა და ნიკელის შენადნობის მონეტა.

ტოკიო. გაზეთი „ასაჰი“, რომელიც განმარტავს ჰელსინკის თათბირის შედეგებს, აცხადებს: „იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ ამ თათბირმა ხელი შეუწყო მსოფლიოში დაძაბულობის შენელებას. შექმნილია ევროპის სტაბილურობის ახალი ფორგალები, და დაძაბულობის შენელებას პროცესმა წინ წაიწია“.

მდგომარეობა პორტუგალიაში

ლისაბონი. ხაკდესის კორესპონდენტი ე. კოვალოვი გვატყობინებს: უკანასკნელი დღეების მანძილზე პორტუგალიის მთელ რიგ რაიონებში მდგომარეობა გაუარესდა. ამას მოწმობენ ამბები, რომლებიც მოხდა ქალაქ ფამალიკაუში, პორტუს ჩრდილოეთით, სადაც უკვე რამდენიმე დღეა დათარეშობენ ნეოფაშისტთა ბანდები. გუშინ ხულიგნები თავს დაესხნენ პორტუგალიის კომპარტიის ადგილობრივ ცენტრს, ააოხრეს იგი, ცეცხლი წაუკიდეს ქუჩაში გამოყრილ ნივთებსა და დოკუმენტებს, დაანგრიეს ცენტრის შენობა.

ამ დღეებში „მგვარი გამოხდომები იყო ზოგიერთ სხვა ქალაქშიც, მაგალითად სანტარენში. წუხელ ლისაბონის ერთ-ერთ ქუჩაში აფეთქეს ბომბი, რომელსაც მატერიალური ზარალი მოჰყვა, მაგრამ ბედად არ გამოუწვევია მოსახლეობის მსხვერპლი. დაიღუპა მხოლოდ თვით დივერსანტი — ფაშისტური ორგანიზაციის „პორტუგალიის ლეგიონის“ ყოფილი წევრი. კომბრში აფეთქეს პორტუგალიის შეიარაღებული ძალების სატვირთო მანქანა.

პორტუგალიის კომპარტია და ქვეყნის სხვა პროგრესული ორგანიზაციები მოითხოვენ ბოლოს მოეღოს რეაქციის თარეშს, სწრაფად განახორციელონ ენერგიული ღონისძიებანი არეულობის მოთავეთა და მონაწილეთა წინააღმდეგ.

არეულობა ქუჩებში და ქალაქის ინტრიგები, ეკონომიური ზემოქმედება საზღვარგარეთიდან და საერთაშორისო პოლიტიკური მანევრები, ეს იმ ანტიდემოკრატიული და მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიის შემადგენელი ნაწილები, რომელიც ადგილობრივმა და საერთაშორისო რეაქციამ მოაწყვეს, ბაზგასმით აღნიშნავს დღეს გაზეთი „ს

საქართველოს კურორტებზე



ახალი პანსიონატი „პლატო“

საკავშირო ჯანმრთელობის კურორტში — კურორტ-ქალაქ ბორჯომის თვალწარმტაც კუთხეში აშენდა 350-ადგილიანი ახალი ცხრასართულიანი პანსიონატი „პლატო“. იგი მთელი წლის მანძილზე იმუშავებს.

დამსვენებელთა განკარგულებაშია კომფორტული ოთახები, ორი ვრცელი დარბაზი, კლუბი, საცეკვაო დარბაზი, ბიბლიოთეკა, დასასვენებელი ოთახები, შენობის სახურავზე განლაგებული აეროსოლარიუმი, რომელსაც კეთილმოწყობილი გასახდელები და საშხაპეები აქვს.

პანსიონატმა „პლატომ“ მიიღო დამსვენებლები საქართველოდან და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებიდან.

სურათზე: პანსიონატი „პლატო“.

ფ. ბრიმსკის ფოტო.
(საინფორმის ფოტოქრონიკა).

სტარტზე არიან მრავალჯიდელები

ქართველ ავტომრგოლთა წარმატება

გავლილია სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სასპარტო დისტანციის სახეობანი. უკან დარჩა მრავალი შეჯიბრება, რომლებმაც გამოავლინა ახალი ჩემპიონები, პრიზიორები. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. ყველაზე მეტი წარმატება საქართველოს სპორტსმენებს აეტომრავალჯიდი ხვდათ, სადაც გუნდური პირველობაც მოვიპოვეთ და პირად შეჯიბრებაშიც გვაყვს ჩემპიონი.

რსფსრ-ის ნაკრების შედეგებმა სპორტის მასობრივ სახეობებში საერთო აღიარება ჰპოვა. ისინი ასევე წარმატებით გამოდიან სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. ის ფაქტი, რომ დღემდე გამართულ შეხვედრებში რსფსრ-ის სპორტსმენებმა 6 სახეობაში პირველი ადგილი დაიკავეს, თავისთავად მეტყველებს მათ სიძლიერეზე და უნდა ვიფიქროთ, რომ ახლი არც დანარჩენ სახეობებში დათმობენ პოზიციებს. ლიდერის უახლოეს მეტოქედ მოსკოვის გუნდი ითვლება. სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზეა უკრაინის ნაკრები. მეექვსე, მეშვიდე და მერვე ადგილებისათვის ბრძოლა აქვთ საქართველოს, ესტონეთისა და ყაზახეთის გუნდებს.

ამჯერად, ასპარეზობენ მრავალტიდელები. მაგალითად, მინსკში მიმდინარეობს შეჯიბრება სამხედრო-გამყენებლის სპორტში. აქ სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ენერგიულად იბრძვიან უკრაინელი სპორტსმენები. ისინი წარმატებით გამოვიდნენ წინაღობათა ზოლის გადალახვაში და კროსში. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები კი ამ სახეობებში სამეულში ვერ მოხვდნენ.

რიგაში გრძელდება საზღვაო მრავალჯიდელთა შეჯიბრება. აქაც ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობს რსფსრ-ის, მოსკოვისა და უკრაინის გუნდებს შორის. შედეგა ასპარეზობა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვასა და აფრისნობაში. ლიდერია რსფსრ-ის ნაკრები.

ჰკდრკკი

ზონალური ტურნირის სტარტზე

10 დედლსტატი და 6 ოსტატი შეუდგა საინტერესო საჭადრაკო მარათონს, რომელსაც ფინიში 29 აგვისტოს ექნება. საბჭოთა მოჭადრაკეების შესარჩევმა ზონალურმა ტურნირმა, რომელიც ვილნიუსის რუსული დრამატული თეატრის შენობაში მიმდინარეობს, როგორც ცნობილია, საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის სამი გამარჯვებული უნდა გამოავლინოს.

ამ ტურნირების თავისებური რეკორდი იქნა დამყარებული პირველსავე ტურში, როდესაც დიდოსტატებს მ. ტაიმანოვსა და ე. ვასიუკოვს დასჭირდათ სულ ერთ საათზე ცოტა მეტი, რათა მე-17 სვლაზე მშვიდობიანი ზავისათვის მოეწერათ ხელი. საინტერესოა, რომ საკავშირო პირველობებზე მონაწილეებმა უნდა გააკეთონ მინიმუმ 30 სვლა, ხოლო შესარჩევ ტურნირში, რომელიც საერთაშორისო წესების თანახმად ტარდება, ასეთი შეზღუდვა არ არსებობს.

რამდენადმე მეტი სვლა — ოცდაერთი — გააკეთეს ვ. ტუმკოვმა და კ. გრიგორიანმა, რომლებმაც აგრეთვე ყაიმით დაამთავრეს შეხვედრა.

მაგრამ, რომ იტყვიან, ამ დღეს „ბლიც-ტურნირი“ მაინც არ გამოვიდა, რადგანაც დანარჩენ დაფებზე მწვავე ბრძოლა წარიმართა. ხუთი საათის დავის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა ვ. სავონ-რ. ვაჰანიანის, ბ. გულკო-მ. დვორეცკის, ვ. ცვმკოვსკი-დ. ბრონშტეინის, ლ. ალბურტ-ვ. გუფელდის, ო. რომანიშინ-რ. ხოლმოვის პარტიები.

ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის — სსრ კავშირის ჩემპიონის, 21 წლის ა. ბელიავსკის ავადმყოფობის გამო მისი პარტია ი. ბალაშოვთან გადადიდო.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ავსტრიის დედაქალაქში სტარტი აიღო ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა მეშვიდე ჩემპიონატმა, რომელშიც 15 ქვეყნის 120 ოსტატი გამოდის. შეჯიბრების პირველ დღეს თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა დაამარცხა ავსტრიელი დიტერ კოლერი — 6:1, 6:1, ოლეგ მოროზოვამ — უნგრელი ბეატრის კლეინი — 6:0, 6:0, მარინე კროშინამ — იტალიელი პაოლა ფალკონიერი — 6:2, 6:4. თეიმურაზ კაკულიამ პირველი პარტია ადვილად მოუგო მაქს ვუენშიგს (გერ) — 6:0, მაგრამ ორ მომდევნომა მოულოდნელად დამარცხდა — 4:6, 3:6.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. მოსკოვის ახალგაზრდულმა ნაკრებმა განმეორებით მატჩში კვლავ სძლია სტუმრებს — აშშ-ის ინდიანის შტატის თანატოლებს — 86:74. ამერიკელი კალათბურთელები კიდევ ორ მატჩს გამართავენ ჩვენს ქვეყანაში (9 და 10 აგვისტოს ვოროშილოვგრადში).

ᲜᲔᲒᲠᲘᲢᲝᲡ ქალაქ სოლნოკში დამთავრდა ნორნ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ კუბის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის (ორი ნაკრები) გუნდები. საბჭოთა ნაკრებმა დაუმარცხებლად გავლო ტურნირი, ფინალში სძლია კუბის გუნდს — 64:60 და პირველობა მოიპოვა.

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲚ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ზაგრებში (იუგოსლავია) გაიმართა ევროპის გუნდური პირველობა თუნოორთა შორის. ჩვენმა ჯაბუკემა ფინალში ანგარაშით 5:1 მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს, ხოლო გოგოლებმა გადამწყვეტი ორთაბრძოლა წააგეს იუგოსლავიელებთან — 0:3 და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ახლა აქ იწყება კონტინენტის პირადი ჩემპიონატი.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. კანადაში საერთაშორისო წინასოლიმპიადო ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონმა — სსრ კავშირის ნაკრებმა კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვა — 10:5 კანადის გუნდთან და 11:8 — კუბის წყალბურთელებთან.

ᲛᲔᲥᲘᲝᲡᲜᲝᲑᲐ. ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენის ჰელენა ფიბინგეროვას მსოფლიო რეკორდი ქალთა შორის ბირთვის კვრაში გაუმჯობესებულია სამი სანტიმეტრით და იგი ახლა უდრის 21 მეტრსა და 60 სანტიმეტრს. ახალი რეკორდსმენია მარიანა ადამი (გდრ). ეს შედეგი მან აჩვენა ბერლინში გდრ-ის თასის გათამაშების ფინალურ შეჯიბრებაზე.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲒᲕᲐᲚᲕᲐ

„დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე

„ამ საშინელი სიცხის გამო, რომელიც სუფევს ამჟამად ჩვენს ქალაქში, ხალხი სწორედ ბატებივით ჰყრია მტკვარში“ (2 აგვისტო). გვალვა იყო კახეთსა და იმერეთში. ორი თვე არ უწვიმია გორში.

1878 წლის ზაფხულს უჩიოდნენ თბილისელები, „ისეთი საშინელი სიცხეა ამჟამად და პაერი ისეა გაცხელებული, რომ სუნთქვა გეკიმნელდებაო“ (9 ივნისი).

გვალვა აღინიშნა 1880 წლის ზაფხულში. „აგერ ლაჩის დაგვადნოს ამოდენა სანვრძლივმა სიცხეგმა! — იწერებოდნენ გორელები, — მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მიწა გახურებულ თონესავით გამოცემს ალმურს“ (8 ივლისი).

წუხდნენ აბაშელები. „ჯერ მარცვალი ხიმინდი არავის ჩაუდია ნახნავშიო.

„საშინელი ხიცხე, საძაგელი თბილი ქარი და მტვერი სულს გვაძრობს ქალაქელებსა. დღისით კაცს გული უწუხდება სიცხისა და მტვრისაგან და ღამითაც რიგიანად ვერ დაუძინია. ქუთაისიდამაც საშინელ სიცხეს იწერებიან, თითქმის ერთი თვეა, წვეთი წვიმა არ მოსულაო“ (9 ივლისი).

დიდვალვალიანი გამოდგა 1882 წლის ზაფხული. გვალვას ქარები დაერთო იწვოდა ტყეები ქართლში, იმერეთში, რაჭაში, სამეგრელოში, ბორჯომის ხეობაში და სხვ. ასევე იყო კახეთისაკენ, ჯერეთ ხალნაღში, სადაც პაპანებამ მთელ აგვისტოსა და სექტემბრის ნახევარს გასტანა — „დედამიწას ცეცხლი მოედო, დაიწვა აქაურობა!“ — წერდნენ სიღნაღიდან.

შეკრიბა ს. ნუცუბიძემ.

და რა უბედურ, საბედისწერო მოვლენად იქცეოდა ხოლმე ხანგრძლივი გვალვები ადამიანებისათვის, რომლებიც უძლურნი იყვნენ ბუნების სტიქიის წინაშე და მხოლოდ „ღვთის წყალობის“ იმედითღა რჩებოდნენ — აწყობდნენ „ლაზარობას“, ხატების გაბანვას. შელოცვებით ცდილობდნენ წვიმის მოყვანას. ყოფილა შემთხვევები, როცა გვალვას მთელი სოფლები გაუჩანაგებია, ულუკმაპურად დუტოვებია...

სულ ხხვაა ახლა — განვითარებული სოციალისტური მეურნეობის პერიოდში. მართალია, ბუნება ბუნებადვე რჩება, მაგრამ გვალვისა და მისი შედეგების წინააღმდეგ ხორცელდება ხალხმწიფოს მიერ ორგანიზებული, მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებები.

ამის მკაფიო დადასტურებაა ამ დღეებში კახეთის რაიონებში არნახული გვალვის წინააღმდეგ გაჩაღებული ნამდვილად ხახალხო ლაშქრობა, ის ზრუნვა, დახმარება და ყურადღება, რასაც იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, ჩვენი ხალხი, ქალაქის მოსახლეობა, ვენახების, მთელი მოსავლის გადასარჩენად.

გვალვა უკან იხევს.

რ. შადური

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1932 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კიბერნეტიკული პედაგოგიკის განყოფილების გამგე როსტომ სიმონის-ძე შადური. იგი დაიბადა 1908 წელს სოფელ ყაზბეგში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის მუშფაკი და ჩაირიცხა ლენინგრადის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1935 წელს თეორიული ფიზიკის განსრით.

1936 წელს რ. შადური იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1937-1938 წლებში იყო გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი, 1938-1939 წლებში უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამმართველოს უფროსი, 1939-1945 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწე, 1945-1948 წლებში საქართველოს სახალხო კომისარიატთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი, 1948-1951 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, 1951-1953 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. 1953 წლიდან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა ჯერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის, ხოლო შემდეგ კიბერნეტიკის ინსტიტუტში დღიდან მისი დაარსებისა.

რ. შადური ნაყოფიერად შრომობდა თანამედროვე ფიზიკისა და კიბერნეტიკის აქტუალურ საკითხებზე. იგი არის ორმოცი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ორი მონოგრაფიის ავტორი.

რ. შადური არჩეული იყო სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო საქართველოს სსრ მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

რ. შადური დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. მიღებული ჰქონდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიტაკი სიგელი, მთავრობისა და სამეცნიერო საზოგადოებების ჯილდოები.

პრინციპული კომუნისტის, აქტიური საზოგადო მოღვაწის როსტომ შადურის ნათელი სხვენა მარად დარჩება მისი კოლეგების, მოწაფეების და მასლობლების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი.

შემთხვევა

ხელი მაინც მოეცარა

... ეს ბანდა „დასპეციალებული“ იყო საწყობების ძარცვაში. თბილისის თეატრალურ-დეკორაციული წარმოების საწყობიდან მან მოიპარა ქალის ხელთათმანებით სავსე ტომარა და 28 ტომარა, რომლებშიც ნეილონის ნართი იყო. შემდეგ გაძარცვა „საქმეთაგარმარაგგასაღების“ საწყობი, „საქხეტყეექალდმარაგგასაღების“ ბაზის საწყობი და სხვები.

მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს. მილიციამ დაიჭირა მძარცველები. სასამართლომ შეაჯამა შედეგი: სუთი გაძარცვა დაანლოებით 13 ათასი მანეთის ოდენობით. სასამართლომ თვითეულს საკადრისი მიუზღო.

თვითეულს, მაგრამ არა ყველას. განსასჯელის სკამზე არ მჯდარა ბანდის მეთაური — სურენ ვართანოვი. იგი მართლმსაჯულებას დაეცალა.

მას მთელ ჩვენს ქვეყანაში ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ. ძებნა მთელ შვიდ წელს გრძელდებოდა. მისი დამთავრება შეძლო თბილისის 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა ო. გალოიანმა. მან დაადგინა, რომ ვართანოვი, რომელიც სხვისი პასპორტით სარგებლობდა, „გასტროლებზე“ დადიოდა ალმა-ათაში, ფრუნზეში, დუშანბესა და სხვა ქალაქებში. ფულს სძალავდა კაკასიელ „თანამემამულეებს“.

ასზე მეტ კაცს დაჰკითხა ინსპექტორმა, სანამ მის კვალს არ მიაგნო: პოლტავაში შეოფი ერთ-ერთი თბილისელი ბართნოვის გამომძალველობის ობიექტი გახდა. თბილისელი ვართანოვის დაპირდა, რომ ფულს უშოვიდა ათ დღეში, და დაუყოვნებლივ შობლიურ ქალაქში გამოეგზავნა. სწორედ პოლტავაში დამთავრდა პირწავარდნილი მძარცველის ლაღი ცხოვრება. იგი ხუთჯერ არის ნასამართლევი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ო. გალოიანს მადლობა გამოუცხადა. (საქინფორმი).

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11 აგვისტო

17.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 18.05 — განცხადებები, 18.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი მამები“, 18.30 — სატელევიზიო ჟურნალი მოსწავლეთათვის „ოცოცნი“, 20.10 — სატელევიზიო პროგრამების საერთაშორისო ფესტივალი — „ცისარტყელა“ (ფერადი გამოსახულებით — გადმოცემა ესპანეთიდან), 20.40 — სამეცნიერო პოპულარული ფილმი „მომავლის ფერმები“ (ქართულ ენაზე), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ანდრია ბალანჩივაძის მე-3 საფორტეპიანო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საბჭოთა კავშირის უძლიერეს ველოსპორტსმენთა შეჯიბრება საქართველოს ტელევიზიის პროზზე, დასასრულ ახალი ამბები.

12 აგვისტო

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში, 10.25 — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის ფილმსპექტაკლი „ვენინკის ქორწილი“, 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთის დაპპყრობნი“, 17.45 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ვოვკა, რომელთანაც ვმეგობრობდი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „გლობუსი“, 19.40 — „მკვეთრად გაგაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხი, 20.00 — „შრომისა და ხიმღერის ადამიანები“ — ზალეინჯიის რაიონი, 20.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქვეს ვიხრი, მასწავლებელო“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „არარატი“ (ერევანი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), II ტაბის ვიდეო ჩანაწერის გადმოცემა (ერევნიდან), 23.15 — სატელევიზიო ფილმი — „მოთხრობა ერთ კონცერტზე — ანუ ბეთჰოვენის უკანასკნელი სონატა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

14 აგვისტო

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში, 10.25 — დოკუმენტური ფილმი „თეორი აგარაკი“, 11.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მილიციის სერჟანტი“ — I სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — სატელევიზიო პროგრამების საერთაშორისო ფესტივალი „ცისარტყელა“. (ესპანეთი), (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით), 17.05 — კინონარკვევი „ეკითე ნოსნობას გისურვებთ, კაპიტენებო!“, 17.35 — განცხადებები, 17.40 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ჯადოქარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ბავშვებისათვის — „იყო და არა იყო რა“..., 19.15 — დოკუმენტური ფილმი „შემხვედრი“. (ქართულ ენაზე), 19.25 — კინონარკვევი, 19.40 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 20.00 — „ჩვენი კომენტარი“, 20.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჯადოქარი ფაბლო“, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „შეხვედრა ქართნის სამკითხველოში“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან,

15 აგვისტო

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.05 — დილის ვარჯიში, 10.25 — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მილიციის სერჟანტი“ II სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 17.40 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „შიშისა და საყვედურის გარეშე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — განცხადებები, 19.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.20 — „ურეკლამაციოდ, სტანდარტების დონეზე“, 19.45 — დოკუმენტური ფილმი, 20.30 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა (განმეორებები), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბოროტსა სძლია კეთილმან“, 23.15 — მღერის ზურაბ ანჯაფარიძე — ფერადი გამოსახულებით, 23.50 — მსოფლიოს პირველობა — მოტორბოლაში (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით).

16 აგვისტო

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში, 10,25 — ბავშვებს ცხოველების შესახებ“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 10.55 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“, 11.25 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მილიციის სერჟანტი“ III სერია (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით), 12.30 — „თქვენთვის მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალმოუჩენელი კუნძულები“, 13.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — სამეცნიერო პოპულარული ფილმი „კომპლექსი“, „ვორონოვო“ (ქართულ ენაზე), 14.20 — „ეინოდოკუმენტალისტის თვალით“, 15.10 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროგრამა (ეროვნული ჟურნალი, 15.55 — „ჩვენი ეული — ჩკალოვის ქუჩა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — ფილმი-კონცერტი „ქორეოგრაფიული ნოველა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „აშკარა დაუჯერებელი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.55—ბრიგადაში მხოლოდ გოგონებია, 20.25—ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული კერამიკა“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ქართული სატელევიზიო დადგმა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.10 — ასალი ამბები.

17 აგვისტო

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან)), 10.10 — დილის ვარჯიში, 10.25 — კინოჟურნალი, 10.30 — „მაგიბარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“, 11.30 — სატელევიზიო ქართული მხატვრული ფილმი „ლაზარე“ — ფერადი გამოსახულებით, 12.40 — კინონარკვევი, 13.05 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით), 13.35 — „კინოს მოყვარულთათვის“, 14.35 — დაუვიწყარი კინოლენტები მხატვრული ფილმი „გამამადგურებლები“, 16.15 — „დღეს საბჭოთა კავშირის სპაერო ფლოტის დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — „კინოაფიშა“, 17.00 — დოკუმენტური ფილმი, 17.15 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — საბჭოდრო-სპპაერო ძალების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის მთავარი მარშლის პ. ს. კუტახოვის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით), 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთის ბავშვები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ათი ათასი საათი პაერში“, 19.20 — „საუსტრადო სუვენირები“, 19.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მძღოლები“, 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე, „დინამო“ (თბილისი), — სკა (როსტოვი) — II ტაბის რეპორტაჟი „ლოკომოტივის“ სტადიონიდან), 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — „ველოსიპედისტები“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲝᲑᲐᲠᲘ

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1975 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) წარმოებისგან მოწყვეტით: ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი; მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკა; გეოფიზიკა; ატმბმბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა; ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, ბიოქიმია, საქართველოს ისტორია; პოლიტიკური ეკონომია; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა; ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი; მანქანათმშენებლობის ეკონომიკა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ეკონომიკა; მეცნიერულ კომუნიზმის თეორია;

ბ) წარმოებისგან მოწყვეტლივ: დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებანი; გამოთვლითი კომპლექსების მათემატიკური უზრუნველყოფა და მათ-ი, ასტროფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა; ატომბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა, ანალიზური ქიმია, მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმია, კოლოიდური ქიმია, ბიოფიზიკა, ბოტანიკა, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, ზოოლოგია, ემბრიოლოგია და ჰისტოლოგია, სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა, შუასაუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია, სტატისტიკა, საბუღალტრო აღრიცხვა, რუსული ლიტერატურა, ქართული საბჭოთა ლიტერატურა, ფოლკლორისტიკა, რუსული ენა, კლასიკური ენები, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ფილოსოფიის ისტორია, სამეურნეო სამართალი, საინჟინრო ფსიქოლოგია.

ასპირანტურაში წარმოებისგან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის, ხოლო წარმოებისგან მოუწყვეტლივ 45 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, სულ მცირე 2 წლის მუშაობის სტაჟი არჩეული სპეციალობით. 1975 წლის კონკურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საასპირანტო რეკომენდაციით.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი (ნოტარიალურად დამტკიცებული). 3. დასასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელ ადგილიდან, 4. ავტობიოგრაფია, 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ ან საასპირანტო რეკომენდაცია, 6. გამოქვეყნებული შრომების სია.

ის პირნი, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომა არა აქვთ, ადგენენ სამეცნიერო მოხსენიებას (რეფერატს) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემსვლელნი ამარებენ მისაღებ გამოცდებს სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: 1. ის პირნი, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა თავისუფლდებიან მისაღები გამოცდებისაგან და მიჰგებლობენ ასპირანტურაში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით. ამ პირთ, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის 1 ან 2 გამოცდა, აგრეთვე იმ პირთ, რომლებსაც აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და გამოგონებები, ნება ეძლევათ ჩააბარონ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდა მისაღებს ნაცვლად იმავე ვადებში.

ხაბუთები მიიღება ა. წლის 1-დან 25 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 5-დან 25 ოქტომბრამდე.

დაწერილებითი ცნობებინ მიღება შეიძლება უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: 380028. თბილისი, ა. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.

საქართველოს 3. ი. ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1975 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. მყარი ტანის ფიზიკა; 2. მადნეულ საბადოთა გეოლოგია, ძიება და დაზვერვა; 3. გამოყენებითი გეომეტრია და საინჟინრო გრაფიკა; 4. ლითონნის ჭრით დამუშავება; 5. სამთო მანქანები; 6. საინფორმაციო-გამზომი სისტემები; 7. ქსელები, კავშირგაბმულობის არხები და ინფორმაციის განახლება; 8. ტექნიკური კიბერნეტიკა; 9. ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვა; 10. გამოთვლითი ტექნიკა; 11. სამსხმელო წარმოება; 12. კავშირგაბმულობის ქსელთა ინფორმაციის გადაცემის სისტემა; 13. ელექტრო-ქიმიური წარმოება; 14. საავტომობილო გზები; 15. თბომომარაგება, ვენტილაცია, აირმომარაგება, ჰაერის კონდიციერება, განათების ტექნიკა, აკუსტიკა; 16. მანქანათა მექანიზმების თეორია და ავტომატური ხაზები; 17. მასალათა გამძლეობისა და სამშენებლო მექანიკა; 18. ქალაქთმშენებლობა, რაიონული დაგეგმარება, ლანდშაფტური არქიტექტურა და სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა გეგმარება.

განცხადება ქვემოთ აღნიშნული საბუთების დართვით (I ეგზ.) შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე: დიპლომის ასლი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2 ფოტოსურათი, საქმიანი ნაბეჭდი ან საზოგადოებრივი დახასიათება სამუშაო ადგილიდან, ავტობიოგრაფია, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამეწმენდილი შრომები ან რეფერატები, ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაცია, მიმდინარე წლის კურსდამთავრებულისათვის.

შემსვლელები აბარებენ საკონკურსო გამოცდებს სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

**განცხადებები მიიღება 1975 წლის 22 სექტემბრიდან 18 ოქტომბრ